<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---მარტი 2021 წელი

ქ. თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, თამარ მამულაშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ერთი შესახვევისთვის 9 აპრილს ტრაგიკულად დაღუპული გია ქარსელაძის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ჩუღურეთის რაიონში, თამარ მამულაშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას და მასთან არსებულ ერთ შესახვევს მიენიჭოს 9 აპრილს ტრაგიკულად დაღუპული გია ქარსელაძის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

X=486048 Y=4619209
გია ქარსელაძის ქ.
X=486086 Y=4619152
I შეს.
X=485997 Y=4619093
X=486124 Y=4619095
გია ქარსელაძის ქ.
X=486081 Y=4619068
X=486184 Y=4619054
X=486120 Y=4619011
1:1,500

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

KA011789173358620

მისამართი: თბილისი 0114 ვახტანგ გორგასლის N22; www.napr.gov.ge;
ცხელი ხაზი: 2 405 405; 08 009 009 09

445044 11 / ნოემბერი / 2020 წ.

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

მოგეხსენებათ, რომ მოქმედი კანონმდებლობის თანახმად სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს უფლებამოსილებას წარმოადგენს საქართველოს ტერიტორიაზე არსებული სამისამართო ობიექტების (მიწის ნაკვეთი, შენობა/ნაგებობა) ნუმერაცია, ისევე, როგორც სამისამართო რეესტრის წარმოება. ამასთან, „საჯარო რეესტრის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, ნომრის მინიჭება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ სამისამართო ობიექტი განთავსებულია კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით სახელდებული ქუჩის მიმდებარედ.

გაცნობებთ, რომ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს 2020 წლის 5 ნოემბერს წარედგინა თორნიკე ბერიძის (პ[redacted] N M20011407 განცხადება, რომლითაც მოთხოვნილია ნომრის მინიჭება უძრავი ნივთისთვის საკადასტრო კოდით: N 01.16.08.008.029. უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრის თანახმად, აღნიშნული უძრავი ნივთების საიდენტიფიკაციო მონაცემად მითითებულია: ქალაქი თბილისი, ქუჩა III რეხის ; ქალაქი თბილისი , ქუჩა III რეხი. ამასთან, მარეგისტრირებელ ორგანოში, შესაბამისი უძრავი ნივთის მიმდებარედ განთავსებული ქუჩის სახელწოდების შესახებ, ასევე ადმინისტრაციული კუთვნილების შესახებ ინფორმაცია არ მოიპოვება.

საქმისათვის არსებითი მნიშვნლეობის მქონე გარემობების სრულყოფილად გამოკვლევის მიზნით, გთხოვთ, გაგვიწიოთ სამართლებრივი დახმარება და მოგვაწოდოთ ინფორმაცია თანდართულ სიტუაციურ ნახაზზე მითითებული გზის მონაკვეთი სახელდებულია თუ არა.

- დადებითი პასუხის შემთხვევაში, გთხოვთ, მოგვაწოდოთ ინფორმაცია გეოგრაფიული ობიექტის სახელწოდების, ტიპისა და მისი გავრცელების არეალის თაობაზე, ასევე, გთხოვთ, მოგვაწოდოთ სახელდების დამადასტურებელი დოკუმენტი (ასეთის მოძიების შემთხვევაში).

- უარყოფითი პასუხის შემთხვევაში, განმცხადებლის ინტერესების გათვალისწინებით, მოგმართავთ შუამდგომლობით შეაფასოთ შესაბამისი ტერიტორია და „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" საქართველოს ორგანული კანონის, „გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ საქართველოს კანონისა და საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის № 239 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის" თანახმად განახორციელოთ გეოგრაფიული ობიექტის სახელდება.

შენიშვნა: თანდართულ სიტუაციურ რუკაზე სააგენტოს მიერ მითითებული გეოგრაფიული ობიექტის კონტური წარმოადგენს პირობით მონიშვნას, სახელდების საჭიროების შემთხვევაში, ქუჩათა და გზათა ქსელის მართებულად დაგეგმარებისთვის აუცილებელია მუნიციპალიტეტმა თავად განსაზღვროს გეოგრაფიული ობიექტის გავრცელების არეალი (დასაწყისი, დასასრული) და მისი ტიპი.

დანართი: 1 (ერთი) გვერდი.

პატივისცემით,

სამისამართო სამსახურის უფროსი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ნინო ბახია

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: 03-032104384
თარიღი: 12/02/2021
პინი: 5582

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

სააგენტოს უფროსს ბატონ ვიქტორ წილოსანს

გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი სამისამართო სამსახურის უფროსის ნინო ბახიას 2020 წლის 12 ნოემბრის საქმე #04-032031668-03 დაკავშირებით, რომლითაც მოქალაქე თორნიკე ბერიძე N M20011407 განცხადების საფუძველზე ითხოვს უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სახელდებას (ს.კ.01.16.08.008.029) .
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის მიერ ინტერაქტიული რუკის მეშვეობით შესწავლილი იქნა უსახელო გეოგრაფიული ობიექტის მდებარეობა და მის მიმდებარედ სახელდებული ქუჩები.
გთხოვთ, შეისწავლოთ დანართში, ჩვენს მიერ არაპროფესიონალურად მოხაზული ტერიტორია და ზემოაღნიშნული საკადასტრო ერთეულის მიხედვით გამოგვიგზავნოთ უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სიტუაციური ნახაზი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 3 (სამი) გვერდი.

მიხეილ ამაშუკელი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-01210531368**
თარიღი: **22/02/2021**
პინი: **1785**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

ცადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

სიმბოლიკის კომისიის თავჯდომარეს

ბ-ნ მიხეილ ამაშუკელს

მის: თავისუფლების მოედანი #2

ტელ:+995(32)2 15 92 92

ბატონო მიხეილ,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ განიხილა თქვენი 12.02.2021 წლის #03-032104384 (16.02.2021წ. #14-01210432022-16) განცხადება, რომლის პასუხადაც მოთხოვნის შესაბამისად გიგზავნით კარტოგრაფიულ მასალებს არსებული დასახლების, სკვერის, სპორტული მოედნის, გზის, ჩიხების, შესახვევისა და გასასვლელების მითითებით. (იხ. დანართი)

ვიქტორ წილოსანი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი



გია ქარსელაძე

(1963- 1989)

9 აპრილის ტრაგედიის გმირი

დაიბადა 1963 წლის 6 ივნისს. დაამთავრა თბილისის №53 საშუალო სკოლა. 1981-1989 წლებში სწავლობდა თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში კავშირგაბმულობის ფაკულტეტზე, შემდეგ გადავიდა არქიტექტურის ფაკულტეტზე. მუშაობდა თბილისის სატყეო მეურნეობაში. 1987 წელს დაქორწინდა ირინა ზაქარეიშვილზე.

1989 წლის 9 აპრილს თბილისში, რუსთაველის გამზირზე გამართული საპროტესტო დემონსტრაციის დარბევისთანავე, 11 საათზე იგორ როდიონოვმა კომენდანტის საათი გამოაცხადა. გამოცხადებიდან დაახლოებით 1 საათში კაპიტანმა ლოხინმა სასიკვდილოდ დაჭრა ქალაქისკენ მანქანით მომავალი გიორგი ქარსელაძე, რომელიც მიღებული ტრავმის შედეგად საავადმყოფოში 11 აპრილს გარდაიცვალა. დაკრძალეს 16 აპრილს თბილისში საბურთალოს სასაფლაოზე.

2014 წლის 9 აპრილს, ტრაგიკული მოვლენებიდან 25 წლის თავზე საქართველოს პრეზიდენტმა ოჯახის წევრებს წმინდა გიორგის სახელობის გამარჯვების ორდენი გადასცა.